საქართველოს მთავრობის

დადგენილება №52

2023 წლის 7 თებერვალი

ქ. თბილისი

„იმ ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ წინადადებების საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის წარდგენისა და განხილვის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე, რომლებიც არ წარმოადგენს საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტს“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის №515 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „იმ ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ წინადადებების საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის წარდგენისა და განხილვის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე, რომლებიც არ წარმოადგენს საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტს“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის №515 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 06/11/2018, 010240010.10.003.020831) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. იმ შემთხვევაში, თუ „განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერის სქემისა და სიმძლავრის აუქციონის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 7 დეკემბრის №556 დადგენილების შესაბამისად, აუქციონის გამოცხადების დღიდან დაინტერესებულ პირთან ელექტროსადგურის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის ხელშეკრულების გაფორმებამდე სამინისტროს მიმართავს სხვა დაინტერსებული მხარე იმავე საპროექტო არეალში, ამ დადგენილების საფუძველზე პროექტის განხორციელების ინიციირების მიზნით, აღნიშნული მიმართვა განიხილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იმავე საპროექტო არეალზე „განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერის სქემისა და სიმძლავრის აუქციონის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 7 დეკემბრის №556 დადგენილების შესაბამისად წარდგენილი განაცხადი არ იქნება შერჩეული აუქციონის კომისიის მიერ ან ნებისმიერი სხვა მიზეზით, იმავე საპროექტო არეალში განაცხადის წარმდგენ პირთან არ გაფორმდება ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის ხელშეკრულება.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**